თვითმმართველი ქალაქის –ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი
№2

ქ. ქუთაისი 4 ნოემბერი 2013 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

ზურაბ გაბიძაშვილი –ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

ზურაბ ზამბახიძე – ქ. ქუთაისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი.

კახაბერ დალაქიშვილი - ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი.

ანდრო მარჯანიშვილი - ქალაქ ქუთაისის მერიის ქალაქდაგეგმარებისა და ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი : კონკურსის მეშვეობით ქალაქ ქუთაისში თომაშვილის ქუჩაზე დარჩენილ მოუპირკეთებელ ტერიტორიაზე, ტროტუარებისა და მწვანე საფარის მოწყობისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (საკონკურსო წინადადების თანხა 1000 ლარი დღგ-ს ჩათვლით) შედგენასთან დაკავშირებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების განხილვის შესახებ. (საკონკურსო განცხადების №1010. 30.10.2013)

განხილვა: საკონკურსო კომისიის წევრმა ზურაბ ზამბახიძემ კომისიის წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დალუქული კონვერტი წარმოადგინა მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა: შ.პ.ს „სანდო“-მ - 970 (ცხრაას სამოცდაათი) ლარზე დღგ-ს გარეშე.

აღინიშნა, რომ საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მიზნით კონსკურსი გამოცხადებული იყო 1000 (ერთი ათასი) ლარზე დღგ-ს ჩათვლით. შ.პ.ს „სანდო“-მ საკონკურსო წინადადება წარმოადგინა 970 (ცხრაას სამოცდაათი) ლარზე დღგ-ს გარეშე. სინამდვილეში კი საკონსკურსო წინადადების ფასი დღგ-ს გარეშე უნდა წარმოედგინა 847,50 (რვაას ორმოცდაშვიდი და 50 თეთრი) ლარზე.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ: ზურაბ გაბიძაშვილმა. კომისიის წევრებმა: კახაბერ დალაქიშვილმა და ზურაბ ზამბახიძემ.

დაადგინეს: 1. ქალაქ ქუთაისში თომაშვილის ქუჩაზე დარჩენილ მოუპირკეთებელ ტერიტორიაზე, ტროტუარებისა და მწვანე საფარის მოწყობისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენასთან დაკავშირებით სახელმწიფო შესყიდვისათვის გამოცხადებულ კონკურსში,

ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას, ამიტომ კონკურსის ჩატარების შესახებ განცხადების მე-15 მუხლის გათვალისწინებით საკონკურსო კომისიის მიერ შ.პ.ს „სანდო“-ს წარმოდგენილი საკონკურსო ტექნიკური დოკუმენტაცია არ იქნა განხილული.

2. ქალაქ ქუთაისში თომაშვილის ქუჩაზე დარჩენილ მოუპირკეთებელ ტერიტორიაზე, ტროტუარებისა და მწვანე საფარის მოწყობისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მიზნით გამოცხადებული კონკურსი დასრულდა უარყოფითი შედეგით.

3. დაევალოს საკონკურსო კომისიას მოახდინოს აღნიშნული საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის გაგზავნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge) გამოქვეყნების მიზნით, რათა კონკურსს მიანიჭოს სტატუსი – „კონკურსი დასრულდა უარყოფითი შედეგით“.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: **ზურაბ გაბიძაშვილი**

კომისიის წევრები:

ზურაბ ზამბახიძე

კახაბერ დალაქიშვილი

ანდრო მარჯანიშვილი